ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 10

25 იანვარი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, გიორგი გაბაშვილი, გოჩა თევდორაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე- ნოდარ ჩხარტიშვილი

სამგორის რაიონის გამგებელი მოადგილე- კახა ბოლქვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში,ილორის ქუჩა №14-ში (საკ/კოდი: №01.11.05.035.010) შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540,31 კვმ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ (ს/კ 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-031735423-03

2 ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკ/კოდი №01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-03180241-03

3. ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკ/კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 461 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-03180241-03

4. ქალაქ თბილისში, სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3028 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი №81.02.38.055), ქალაქ თბილისში, სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3835 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№81.02.38.057) და სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3526 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№81.02.36.032) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე.

№12-031729917-03

5. ქალაქ თილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით კრწანისის რაიონის გამგეობისათვის მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ

(№11-01180182742)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი კომისის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავარქთილაძემ. მისი განმარტებით, შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო ცენტრი ‘დიოსკურიას“ დირექტორმა ნანა გერგედავამ მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ილორის ქუჩა №14-ში , შენობა-ნაგებობა №1-ში პირველ სართულზე არსებული 540,31 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა 2 წლის ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით,უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით მათ გადაცემული ქონდათ და ხელშეკრულების ვადა დამთავრდა .

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ნოდარ ჩხარტიშვილმა. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უშუალო დახმარებით და ხელშეწყობით პოლიკლინიკაში ეტაპობრივად ტარდებოდა სარემონტო

სამუშაოები და პოლიკლინიკის კოლექტივი გამოთქვამს მზადყოფნას აქტიურად ჩაერთოს თბილისის მოსახლეობის და განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი კონტიგენტის მომსახურებაში. კარგი იქნება თუ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია თანადგომას გაუწევს მათ- აღნიშნა ნოდარ ჩხარტიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით დადებითი პოზიცია გამოთქვეს დავით უთმელიძემ და პარტია „პატრიოტთა ალიანსის" წარმომადგენელმა მამუკა ტუსკაძემ.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი, სადაც აღნიშნავენ რომ პოლიკლინიკა მომსახურებას უწევს ძირითადად აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებს , ჩრთულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში და ემსახურება 5000-ზე მეტ ბენეფიციარს, ასევე აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში. ირაკლი ზარქუას წინადადებით ქონების უზურფრუქტით გადაცემის ვადად უნდა განისაზღვროს ერთი წელი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით.

კომისიის წევრება დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს: „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში,ილორის ქუჩა №14-ში (საკ/კოდი: №01.11.05.035.010) შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540,31 კვმ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე ამ წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს: ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკ/კოდი №01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ.

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, 17 მოქალაქეს გადაეცემა საცხოვრებელი ფართები აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ ეს მოქალაქეები ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მაქსიმუმ 20 წელი ფლობდნენ ამ ფართებს.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკ/კოდი №01.19.24.008.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკ/კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 461 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხის შესახებ ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ. აა(ი)პ „მზიანი“ ითხოვს პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე არსებული 461კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით,უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემას. აღნიშნული ქონებაც 2 წლის ვადით გადაცემული ჰქონდა კომპანიას გარკვეული ვალდებულებებით.შენობაში განთავსებულ კაფეს აქვს სოციალური დატვირთვა.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს:'ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკ/კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 461 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3028 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი №81.02.38.055), ქალაქ თბილისში, სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3835 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№81.02.38.057) და ტაბახმელაში მდებარე 3526 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№81.02.36.032) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ. მან აღნშნა, რომ ქ.თბილისის მთავრობას და გიორგი გოგოლაძეს შორის მიმდინარე სასამართლო დავის ფარგლებში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის და 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინების საფუძველზე, 2012 წლის 19 ოქტომბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი(№3ბ/2688-10) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს , თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2013 წლის 13 თებერვლის №A12062699-009.003 და 22 თებერვლის №A12062699-009.004 მიმართვების საფუძველზე გიორგი გოგოლაძისა და მისი უფლებამონაცვლე პირების თეიმურაზ პაიჭაძისა და დავით ხუციშვილის თანასაკუთრებად დარეგისტრირდა თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტაბახმელაში მდებარე 4307 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი: №81.02.13.950). აღნიშნულ მიწის ნაკვეთის გარკვეულ ფართობზე გამოვლინდა საკადასტრო მონაცემთა ზედდება მარინა მგალობლიშვილის(პ/ნ 01014001034) და ირმა კეკელიძის (პ/ნ 65002004367) დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაზე და სადავო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით დაიწყო სასამართლო დავა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. დავაში მესამე პირად ჩართულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საკადასტრო მონაცემთა ზედდებაში მოხვედრილი მიწის ნაკვეთიდან თანამესაკუთრეებმა ცალკე საკადასტრო ერთეულად გამიჯნეს 3600 კვმ ფართობის ტერიტორია და გამიჯვნის შედეგად მიღებული მიწის

ნაკვეთის თვითმართველის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ მოითხოვეს სოფ.ტაბახმელაში №81.02.38.057 და №81.03.36.032 საკადასტრო ერთეულების საკუთრებაში გადაცემა. მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური არ არის წინააღმდეგი, დავის რეგულირება მოხდეს მხარეთა შორის შეთანხმებით იმ პირობით, რომ უზრუველყოფილი იქნება, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის,ასევე საკითხით დაინტერესებულ პირთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინება. მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრულია 17520 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. (სსიპ ლევან სამსახარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განსაზღული გასაცვლელი მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3028 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი №81.02.38.055), ქალაქ თბილისში, სოფ.ტაბახმელაში მდებარე 3835 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№81.02.38.057) და ტაბახმელაში მდებარე 3526 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№81.02.36.032) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:ქალაქ თილისის მუნიციპლაიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით კრწანისის რაიონის გამგეობისათვის მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქავას თქმით, კრწანისის რაიონს საახალწლო-საშობაო ღონისძიებების დასაფინანსებლად არ ეყო თანხები და დარჩა კრედიტორული დავალიანება, რისთვისაც თხოვს პროგრამაში: „ კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები“(კოდი 08 11 09), 1260 ლარის გადმოტანას მეოთხე კვარტლიდან პირველ კვარტალში,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით კრწანისის რაიონის გამგეობისთვის მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც კრწანისის რაიონის გამგეობა ითხოვს, 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების (საახალწლო-საშობაო ღონისძიებები) დაფინანსების მიზნით, 2018 წლის ბიუჯეტში პროგრამაში „კულტურულ,სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (კოდი 08 11 09) - 1260 ლარის მეოთხე კვარტლიდან პირველ კვარტალში გადმოტანას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად

მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომმა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა